ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7044418

ნომერი: AR11031509

თარიღი : 23.04.2024

გაცემის თარიღი : 24.05.2024

გაცნობის თარიღი : 27.05.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-14 კილომეტრზე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა ჩაგანავა პ/ნ 01017043074
- სავანელის #18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938238 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 23 აპრილის №AR11031509 განცხადებით მომართა ლუკა ჩაგანავამ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 18

მარტის №6938238 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938238 ბრძანებით, №01.72.14.009.616 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 18 მარტიდან 2026 წელის 2 იანვრის ჩათვლით.
სამსახურის 2024 წლის 29 მარტის №6958884 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938238 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული -4.05 ნიშნულის გეგმა (მე-10 გვერდი) ჩანაცვლდა 2024 წლის 22 მარტის №AR11025037 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
ამასთან, სამსახურის 2024 წლის 8 აპრილის №6972372 ბრძანებით, ისევ გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938238 ბრძანებაში და შეთანხმებული -4.05 ნიშნულის გეგმა (სამსახურის 2024 წლის 29 მარტის №6958884 ბრძანების გათვალისწინებით) ისევ ჩანაცვლდა 2024 წლის 1 აპრილის №AR11027127 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ ისევ მოთხოვნილია სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938238 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ამჯერად ითხოვს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად 1821.0 კვ.მ-ის ნაცვლად 1821.6 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2252.4 კვ.მ-ის ნაცვლად 2274.4 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 15431.6 კვ.მ-ის ნაცვლად 15454.2 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმები და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო. ამასთან, შეთანხმებული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938238 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938238 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 1821.6 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 2274.4 კვ.მ., საერთო ფართობად - 15454.2 კვ.მ.
2. სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938238 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები (გარდა +37.85 ნიშნულის არქიტექტურული გეგმისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938238 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938238, 2024 წლის 29 მარტის №6958884 და 2024 წლის 8 აპრილის №6972372 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.